ხელშეკრულება აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2017 წლის 15 ივნისი ქ.მარნეულში

შემსყიდველი: *შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური"*- შემდგომში - „შემსყიდველი"

- **მისამართი:** ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის N35
- **საბანკო რეკვიზიტები:**
- **ბანკის კოდი:**
- **ა/ნ:**
- **მიმწოდებელი:** შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" კახეთის რეგიონალური ფილიალი საიდენტიფიკაციო კოდი N412670097
- **მისამართი, ტელეფონი: ქ. მარნეული, კოსტავას ქუჩა N23**
- **ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალის მენეჯერი: ნიკოლოზ ვასაძე**
- **საბანკო რეკვიზიტები:** სს „ლიბერთი ბანკი" ბ/კ: LBRTGE22 ა/ა GE56LB0113123325230002.

ერთის მხრივ -შემსყიდველი, და მეორეს მხრივ -მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს წყალმზომი კვანძის მოწყობის სამუშაოები შემსყიდველისთვის, ქ. ბოლნისში, აღმაშენებლის ქ. N35-ში მდებარე შპს ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახურის კუთვნილი ფართისთვის. თანახმად შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისა *დანართი # 1*-ის სახით. CPV 50400000

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 **ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს:**

79.48 (სამოცდაცხრამეტი ლარი და 48 თეთრი) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს სამუშაოების შესრულებასთან.

2.3 ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ან გაიზარდოს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.1 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესარულოს სამუშაოები 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 შესრულებული მომსახურება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.3 შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოების (ფორმა N2) საფუძველზე.

4. ანგარიშსწორების წესი

1.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს, ფორმა N2-ში განსაზღრული ღირებულება, სამუშოს შესრულების შემდეგ 10 კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. (საგადასახადო ა/ ფაქტურა).

4.2 ანგარისშწორების ვალუტა - ლარი

4.3 გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.

6.ფორსმაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2 ამ მუხლის ფარგლებში ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა ან/და დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3 ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც არ იქნებიან დამოკიდებული ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენაზე.

7. სხვა პირობები

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **ერთი თვის ვადით.**

7.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7.4 ორივე **მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთაღნიშნულის დასტურად აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური“ ს/კ: 425358409 დირექტორი თეიმურაზ გაბაძაშვილი	**შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** ს/კოდი: 412670097 ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალის მენეჯერი ნიკოლოზ ვასაძე

ხარჯთაღრიცხვა №

წყალმზომის კვანძი დ-15 (შპს "ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური")

შედგენილია 1984 წ. ს.ნ.წ. საბაზისო ნორმებით მიმდინარე ფასებში

№	შიფრი	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	ნორმა ერ-ზე	რაოდენობა	მასალები		ხელფასი (ლ)		მანქანა-სმები (ლ)		1
						ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	(ლ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1
2	16-19-1 მიყენები თ	**წყალმზომი კვანძის მოწყობა დ-15**	**კვანძი**		1							
		შრ. დანახარჯები	კაც/სთ	5,68	5,68			4,6	26,13			26,
		სხვა მანქანა	ლარი	0,33	0,33					3,2	1,06	1,0
		წყალმზომი	კომპ.	1	1	27,86	27,86					27,
		სულ (პირდაპირი ხარჯის ჯამი)					**27,86**		**26,13**		**1,06**	**55,**
		ზედნადები ხარჯები	10%									5,
		ჯამი										**60,**
		გეგმიური დაგროვება	8%									4,
		ჯამი										**65,**
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%									1,
		ჯამი										**67,**
		დღგ-ს გადასახადი	18%									12,
		სულ										**79,**

დამკვეთი
შპს "ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური"-ს
დირექტორი თეიმურაზ გაბიძაშვილი

შემსრულებელი
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების
კომპანიის" ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალის
მენეჯერი ნიკოლოზ ვასაძე